წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ირაკლი გიგინეიშვილის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი: **ირაკლი გიგინეიშვილი**

თანამდებობის დასახელება: **წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ფრაქციის დასახელება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

კომისიის დასახელება: _____

არჩევის წესი: პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2024 წლის 01.11- დან 2025 წლის 28.10-მდე.

ანგარიშის ტიპი: **რიგითი**

<u>საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა</u>

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 17, მათ შორის: რიგგარეშე 6;

საკრებულოს სხდომებზე დასწრება 14;

2. სულ საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა: 40, მათ შორის: რიგგარეშე 16;

საკრებულოს ბიუროს სხდომებზე დასწრება 39.

3. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____მ/შ დროებითი კომისიების_____

კომისიის სხდომებზე დასწრება _____მ/შ დროებით კომისიებში_____

4. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 28;

ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 28;

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

- დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა

საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილების პროექტი „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“;
- განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)“.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 4 დადგენილება და 1 განკარგულება.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება “წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება “წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ”;
- დადგენილება “წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ”;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცდების შესახებ“;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;
- განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“;
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

- განკარგულება „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ" - შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე";
- განკარგულება ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ";
- განკარგულება „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";
- განკარგულება ,,მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

---

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 68 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 3350 მოქალაქე.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

➢ თითოეული დასახლებისთვის პრობლემური საკითხები (წყალმომარაგება, საგზაო ინფრასტრუქტურა, სკოლების რემონტი/რეაბილიტაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არარსებობა და ამბულატორიების გაზიფიცირების უზრუნველყოფის საკითხი).

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

➢ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, საკითხის დაყენება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში, პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

დასრულებულია მუნიციპალური საავტომობილო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

➢ სოფ. კოხტა-ხარების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 3624 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. აშკალა - გუმბათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 4100 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. ოზნი - კიზილ-კილისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 2600 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. ხანდო, რეხა, ავრანლო და სოფ. გუმბათის სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო სამუშაოები;

➢ სოფ. ნარდევანი - კუშის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მიმდინარეობს 1 117 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. არ-სარვანში ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები;
➢ წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები;
➢ წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი მოედნებზე განათების მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. კიზილ-კილისაში მინი - სპორტული მოედანი;
➢ სოფ. არწივანში სასმელი წყლის სისტემა;
➢ ქ. წალკაში შშმ პირთა სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
➢ სოფ. რეხაში საფეხმავლო ხიდი;
➢ ქ. წალკასა და წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები.
➢ სოფ. კუშის ხიდის სამშენებლო სამუშაოები;
➢ ქ. წალკაში გმირთა მემორიალისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები;
➢ ქ. წალკაში შადრევნის მოწყობა;
➢ ქ. წალკაში სამი სკვერის მოწყობის სამუშაოები;
➢ ქ. წალკაში მდინარის გაწმენდისა და სოფ. არწივანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. ჩივთ-კილისაში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია;
➢ სოფ. ავრანლოს წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები.

მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

➢ სოფლებში: ავრანლო, არსარვანი, არწივანი, ახალშენი, გოდაკლარი, თეჯისი, კიზილკილისა, ლივადი, ჩოლიანი, კოხტა-ჩრდილისუბნის დამაკავშირებელი შიდა გზების მოხრეშვა/რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა, რომელთა ღირებულებამ საერთო ჯამში შეადგინა 200 026 ლარი;
➢ სოფ. არწივანში მოეწყო სკვერი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 652 ლარი; ➢ სოფ. განთიადში განხორხორციელდა მდინარის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 362 ლარი;
➢ სოფ. რეხაში განხორციელდა გაბიონის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 982 ლარი;
➢ სოფ. ნარდევანში, ავრანლოსა და დაბა ხრამჰესში რეაბილიტირდა სპორტული მოედნები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 23 529 ლარი;
➢ დაბა ბედიანში განხორციელდა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 15 492 ლარი;
➢ სოფ. კაბურში, სამებასა და დაშბაშში განხორციელდა არსებული სარიტუალო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლთა ღირებულებამ შეადგინა 45 987 ლარი.

მიმდინარეობს მუნიციპალური საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დასრულდება 2025-2026 წელს, კერძოდ:

➢ სოფ. დარაკოვი - წინწყაროს დამაკავშიორებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
➢ ქ. წალკის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები;
➢ სოფ. ავრანლოს სკვერის მოწყობის სამუშაოები;
➢ სოფ. ახალშენში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
➢ დაბა ბედიანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 572 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისთვის გამოიყო 1 013 713 ლარი. ჯამში

დაიხარჯა 1 585 713 ლარი, რომლითაც მუნიციპალიტეტის 43 დასახლებაში ჩატარებული მოსახლეობის საერთო კრებების მიერ შერჩეული საერთო პროექტის შედეგად შეძენილი იქნა 4 (ოთხი) ერთეული ავტობუსი და 1 (ერთი) ერთეული მიკრო ავტობუსი.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მ/წლის განმავლობაში შეხვედრები გავმართე მუნიციპალიტეტის ოცდაათივე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან. შეხვედრებზე განცხადებული საჭიროებების და პრობლემების შესახებ საკითხები მუნიციპალიტეტის მწირი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით მაქსიმალურად აისახება 2026 წლის წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს ეგიდით გამართულ ყველა სხდომაზე, სადაც რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვანი საკითხები იქნა განხილული და გადაწყვეტილი.

შევსების თარიღი: 28.10.2025 წ.

წარდგენის თარიღი: 28.10.2025 წ.

ხელის მოწერა